


2022 წლის აგვისტოში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა¹ 182 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 284 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების² საშუალო ფასმა აგვისტოში 122 ლარი შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აგვისტოში 510 ლარი შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 727 ლარი შეადგინა, კახეთში - 569, აჭარაში - 547, ხოლო თბილისში - 538 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2022 აგვისტო, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი³ 2022 წლის აგვისტოში, 2022 წლის ივლისთან შედარებით, 1.4%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 0.9%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 1.5%-ით გაიზარდა.

2022 წლის აგვისტოში, 2021 წლის აგვისტოსთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 15.8%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 11.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 36.3%-ით გაიზარდა.

| რეგიონი | სასტუმრო | | 3*, 4*, 5* | | საოჯახო | |
|-------------------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| | 2022 აგვ/ 2022 ივლ | 2022 აგვ/ 2021 აგვ | 2022 აგვ/ 2022 ივლ | 2022 აგვ/ 2021 აგვ | 2022 აგვ/ 2022 ივლ | 2022 აგვ/ 2021 აგვ |
| კახეთი | 2.7% | 19.0% | -0.2% | 11.5% | 4.0% | 22.8% |
| იმერეთი | -1.5% | 15.0% | -1.5% | 17.1% | -1.4% | 13.6% |
| გურია | -4.0% | 9.0% | -8.6% | -1.8% | 11.4% | 34.2% |
| ქვემო ქართლი | 0.0% | 10.0% | 0.0% | 10.0% | | |
| აჭარა | 6.5% | 27.6% | 6.1% | 19.2% | 7.8% | 44.1% |
| რაჭა | 0.0% | 19.1% | | | 0.0% | 19.1% |
| შიდა ქართლი | 5.7% | -3.9% | 0.0% | -3.8% | 8.7% | -4.1% |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 2.0% | 6.1% | 2.0% | 1.7% | 2.0% | 10.2% |
| სამცხე-ჯავახეთი | -3.9% | 18.0% | -5.5% | 6.6% | -3.0% | 28.2% |
| მცხეთა-მთიანეთი | -0.5% | 1.7% | 2.6% | 0.4% | -2.6% | 2.6% |
| თბილისი | 0.3% | 11.7% | 0.2% | 10.4% | 1.0% | 43.7% |
| სულ ფასების % ცვლილება | 1.4% | 15.8% | 0.9% | 11.4% | 1.5% | 36.3% |

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2022 წლის აგვისტოში, 2022 წლის ივლისის ფასებთან და 2021 წლის აგვისტოს ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულს გამოანგარიშებით. 2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი. 3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.